



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N7

ქ. მარნეული

04.04.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭოიძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, რამიზ გულმამედოვი, ქამილ ალიევი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, ისმაილ ბაირამოვი, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, ბესიკ გუჯეჯიანი, აბიდ ოსმანოვი, ლერი მუმლაძე, ვალი ისმაილოვი, რაგიმ ასკეროვი, რიჩარდ გიგანი, მამედ მამედოვი, რაფიკ ჯაფაროვი, აგილ ფაშაევი, გივი ქველაძე, სულეიმან ხალილოვი, ელხან მუფტიევი, ჯომგუნ ზეინალოვი, მახირ იუსუბოვი.

არ ესწრებოდა: - ნიკოლოზ გოგოჭური, გიორგი შუკაკიძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ლევონ აკოპიანი, ზურაბ სხირტლაძე.

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „მარნეული TV“-ს ტელევიზიის წარმომადგენლები, გაზეთ „ოზანის“ რედაქტორი ქამილ მუსაევი, შაუმიანის სატემო განათლების ცენტრის დირექტორი მიხეილ ხარაზიშვილი, მოქალაქეები: გერვასი კიკნაძე, ბორის სხირტლაძე, ემზარ ლიპარტელიანი.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ სხირტლამისათვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
2. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 2 მარტის N03/1235 წერილის განხილვის შესახებ.

5. შ.პ.ს. დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის 2016 წლის 28 მარტის N4-181 წერილის განხილვის შესახებ.
6. ქალაქ მარნეულში, აღმაშენებლის ქ.N44 -ში მცხოვრები მოქალაქე მარინა იაკობაშვილის განცხადების განხილვის შესახებ.
7. ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N59ბ საცხოვრებელი კორპუსის ამხანაგობა „მზე“-ს განცხადების განხილვის შესახებ.
8. ქალაქ მარნეულში, ნარიმანოვის ქუჩა N1 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარის განცხადების განხილვის შესახებ.
9. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის N3“ -ზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების დადგენის შესახებ.
10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 2 მარტის N03/1221 წერილის განხილვის შესახებ.
11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 7 მარტის N627-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
12. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 1 თებერვლის N226-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
13. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 მარტის N702-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
14. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 მარტის N703-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
15. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 აპრილის N03/2065 წერილის განხილვის შესახებ
16. სოციალური საკითხები.
17. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 30 მარტის N03/2022 წერილის განხილვის შესახებ.
18. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 30 მარტის N03/2023 წერილის განხილვის შესახებ.

### **განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 თებერვლის განაჩენი, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, რის გამოც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს კანონის 43-ე მუხლის საფუძველზე უნდა შეუწყდეს სადეპუტატო უფლებამოსილება, რაც მიღებულია ცნობად.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N12. 04.04.2016 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მუხლობრივად განმარტა ბიუჯეტის შესრულება, როგორც შემოსულობების, ასევე ხარჯვით ნაწილში. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვითაც 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასებულია დადებითად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N55. 04.04.2016 წ.).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 2 მარტის N03/1235 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასამტკიცებლად წარუდგინა შ.პ.ს. „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და სამტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N54. 04.04.2016 წ.).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა შ.პ.ს. „დემირელი“-ს სახელობის კერძო კოლეჯის 2016 წლის 28 მარტის N4-181 წერილისა და მოქალაქე ლეილა მამედოვას განცხადების გათვალისწინებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურის მონაწილეობით უზრუნველყოს მოქალაქე ლეილა მამედოვასათვის (პ/ნ. 28001018795) ერთჯერადად 850 ლარის გადარიცხვა, მისი შვილის, ტამერლან გასანოვის გერმანიაში გასამგზავრებლად, რომელიც არის შ.პ.ს. „დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი“-ს მერვე კლასის მოსწავლე და მიმდინარე წლის 9 მაისიდან 6 ივნისამდე მიემგზავრება გერმანიაში ენისა და კულტურის საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N51. 04.04.2016 წ.).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში, აღმაშენებლის ქუჩა N44-ში მცხოვრები მოქალაქე მარინა იაკობაშვილის განცხადება არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზაციასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ საკითხის შესწავლა განეკუთვნება მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას, არ მოხდა მისი განხილვა და მიღებული იქნა გადაწყვეტილება განცხადება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 29 თებერვლის N03/1116 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 26 თებერვლის N530-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს რუსთაველის ქუჩა N59ბ-ს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მზე“-ს მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები შ.პ.ს. „დაგის“ მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 2216 კვ.მ განაშენიანების ფართი შენობა 01/5 - 854 კვ.მ; 02/1 - 15 კვ.მ; 03/1 - 15 კვ.მ; 04/1-15 კვ.მ; 05/1 - 15 კვ.მ. 06/1 - 15 კვ.მ. 07/1 - 15 კვ.მ. 08/1 - 15 კვ.მ.).

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N49. 04.04.2016 წ.).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში ნარინანოვის ქუჩა N1-ის ბინათმესაკუთრეთა მახანაგობის თავმჯდომარის განცხადება, რომელიც ითხოვს ამხანაგობას მიკუთვნებული ფართის (წითელი ხაზები) კორექტირებას, იმის გამო, რომ საკითხზე არ იყო შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურის მოხსენებითი ბარათი, მიღებული იქნა გადაწყვეტილება და საკითხი გადაიდო შემდგომი სხდომისთვის.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 აპრილის N03/2087 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 23 მარტის N817-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის 3“-ს მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები შ.პ.ს. „დავის“ მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 1541 კვ.მ განაშენიანების ფართი შენობა 01/5 - 438 კვ.მ; 02/1 - 24 კვ.მ; 03/1 - 27 კვ.მ; 04/1-17 კვ.მ; 05/1 - 21 კვ.მ. 06/1 - 18 კვ.მ. 07/1 - 18 კვ.მ. 08/1 - 18 კვ.მ. 09/1 - 18 კვ.მ. 10/1 - 18 კვ.მ.).

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N48. 04.04.2016 წ.).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 2 მარტის N03/1221 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 29 იანვრის N201-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე სთხოვა თანხმობა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დანართი N1-ისა და დანართი N2-ის მიხედვით, მარნეულის მუნიციპალიტეტის კაპანახჩის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კაპანახჩის და კასუმლოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ აღმამედლოში მდებარე საბავშვო ბაღების ინვენტარი საკუთრებაში გადასცეს მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N47. 04.04.2016 წ.).

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 9 მარტის N03/1430 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 7 მარტის N627-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა ნება დაერთოთ მოქალაქეებს გიორგი მიშელაშვილს და ლია ხახულაშვილს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N83.02.17.645.) რეგისტრაცია განახორციელოს შ.პ.ს. „აი-თენ“-ის მიერ 2016 წლის 21 იანვარს შესრულებული ზუსტი საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N46. 04.04.2016 წ.).

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 2 მარტის N03/1224 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 1 თებერვლის N226-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სთხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე ლელა გაბომის

საცხოვრებელ ბინას, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.04.11.082.01.502 მიენიჭოს მისამართი: წერეთლის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი საიმერლო, თამარ მეფის ქუჩა N1, ბინა N7.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N45. 04.04.2016 წ.).

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 16 მარტის N03/1661 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 მარტის N702-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სთხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე მარიგ ალიევის (პ/ნ. 28001012884) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღრიცხულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.23.881 მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, ომარ ხაიამის ქუჩა N1ბ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N44. 04.04.2016 წ.).

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 16 მარტის N03/1664 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 მარტის N703-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სთხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე ისლამ პირიევის საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექ. ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხულია მისამართით: ქალაქი მარნეული, გრიშაშვილის ქუჩა (ჟდანოვის ქ. უიარაღოს ქ) N4ა მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, უიარაღოს ქუჩა N26.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N43. 04.04.2016 წ.).

15. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 აპრილის N03/2065 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 1 აპრილის N916-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ქვემო ქართლის სამმართველოს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობაში გადასცეს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N71-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (საკადასტრო კოდი: N83.02.23.157) არსებული 2 ოთახი (მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ყოფილი ფართიდან).

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N50. 04.04.2016 წ.).

16. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რაფიკ მუსაევმა, შ.პ.ს. „კუზანოვის კლინიკა“-ს, შ.პ.ს. ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის, ჯეო ჰოსპიტალს“-ის, შ.პ.ს. მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს, შ.პ.ს. „დიაგნოსტიკური სერვისი“-ს, ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია, მეტაბოლოგია, დიეტოლოგიის ცენტრი „ენმედიცი“-ს, შ.პ.ს. „ახალი მზერა“-ს, შ.პ.ს. ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის, შ.პ.ს. „ნიუ ჰოსპიტალს“-ის, შ.პ.ს. მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს, კლინიკა „ინოვა“-ს, ისრაელი-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა „პელსიკორი“-ს, შ.პ.ს. „სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო

კლინიკა“-ს, „წმ. იოანე მოწყალის სახელობის პრივატ კლინიკა“-ს, „წმ. იოანე მოწყალის სახელობის პრივატ კლინიკა“-ს, შ.პ.ს. „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი“-ს, „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“-ს ისრაელი-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა „ჰელსიკორი“-ს, პროფ. ივანე მგალობლიშვილის ფერტილობის ცენტრი „დომინანტი“-ს, ჯეო ჰოსპიტალს“-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების გათვალისწინებით, ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაცემული საგარანტიო წერილებით აღებული ვალდებულების შესასრულებლად, ნიზამი აშიროვის შვილიშვილის, სამირ აშიროვისათვის - 500 ლარის გადარიცხვა, ალი ალიევის მეუღლის ელზადა ალიევასათვის - 250 ლარის გადარიცხვა, მანსირ ვალიევის ძმის, რამილ ვალიევისათვის - 350 ლარის გადარიცხვა, ეტიზარ ქიარიმოვას შვილის, რუსლან ქიარიმოვასათვის - 213 ლარის და 77 თეთრის გადარიცხვა, უშანგი ცეცხლადის შვილის, ანზორი ცეცხლადისათვის - 355 ლარის გადარიცხვა, ელმინ ომაროვისათვის - 600 ლარის გადარიცხვა, რიზვან კარაევისათვის - 300 ლარის გადარიცხვა, ტახირ რუსტამოვისათვის - 174 ლარის გადარიცხვა, ახლიმან ვალიევისათვის - 498 ლარის გადარიცხვა, თამილა ნადირადის შვილის, მათე თოდუასათვის - 200 ლარის გადარიცხვა, აზიზა ბაბაქიშიევასათვის - 575 ლარის გადარიცხვა, აბესალომ ირიაულისათვის - 1630 ლარის გადარიცხვა, ალექსანდრე შუკაკიძის შვილის, გეგა-დემეტრე შუკაკიძისათვის - 382 ლარის და 34 თეთრის გადარიცხვა, ილხამ ხალილოვის მეუღლის, სახარ ხალილოვასათვის - 700 ლარის გადარიცხვა, მახმუდ ყურბანოვის დის, ზოხრა ყურბანოვისათვის - 600 ლარის გადარიცხვა, ელიმხან ბაირამოვის შვილიშვილის, რუსლან ბაირამოვისათვის - 530 ლარის გადარიცხვა, ისახან ბედიევის შვილის, საიალი ბედიევასათვის - 277 ლარის გადარიცხვა, სახიბ დანაგრანოვისათვის - 1626 ლარის გადარიცხვა, ბაგდასარ რუსტამოვას რძლის, აზადა ნასიბოვასათვის - 820 ლარის გადარიცხვა, იოსებ შუბითიძის მამის, გიორგი შუბითიძისათვის - 198 ლარის გადარიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N42. 04.04.2016 წ).

17. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეჩვიდმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 30 მარტის N03/2022 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილების საფუძველზე სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურის მონაწილეობით უზრუნველყოს 45 ათასი ლარის გადარიცხვა ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო“-სათვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც საკრებულოს წევრთა უმრავლესობით იქნა მიღებული (მიღებულია განკარგულება N52. 04.04.2016 წ).

18. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთვრამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 30 მარტის N03/2023 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილების საფუძველზე სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურის მონაწილეობით უზრუნველყოს 8 ათასი ლარის გადარიცხვა შაუმიანის სათემო განათლების ცენტრისათვის. აღნიშნულ საკითხზე თანხის ხარჯთაღრიცხვაზე დეტალური ინფორმაცია წარმოადგინა შაუმიანის სათემო განათლების ცენტრის დირექტორმა მიხეილ ხარაზიშვილმა, რომელმაც უპასუხა საკრებულოს წევრების შეკითხვებს.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა საკრებულოს წევრთა უმრავლესობით (მიღებულია განკარგულება N53. 04.04.2016 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მეშვიდე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

ნაზი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე